აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

28 ივლისი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი და თამაზ შარმანაშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი გია გარსევანიშვილი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება
კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა პრემიის განაწილების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები და დამატებები ძირითადად განპირობებულია იმ თვალსაზრისით, რომ არჩევნების მომზადებასთან დაკავშირებით უნდა გაიზარდოს აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა, დეტალურად უნდა გაიწეროს თითოეული სამსახურის უფლებამოსილება და სამსახურების ინსტრუქციები, ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებებითა და დამატებებით დაიხვეწა უსკოს აპარატის სამსახურების ფუნქციები, უსკოს სხდომის ჩატარებისა და სხდომაზე გასატანი საკითხები. ასევე სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის

და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23. 05. 2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) უსკოს თავმჯდომარის ბრძანება“.

2. მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხელს აწერს უსკოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ასევე უსკოს თავმჯდომარის განკარგულებებსა და ბრძანებებს“.

3. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ზ^1$“ პუნქტი:

„$ზ^1$) გამოსცემს ბრძანებებს შიდაუწყებრივ, მოხელეთა დანიშვნის, განთავისუფლების, შვებულების, აპარატის თანამშრომელთა წახალისების, საკადრო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით“.

4. მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მეშვეობით წარმოადგენს უსკოს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მათ შორის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან“.

5. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2 უსკოს აპარატის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე“.

6. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მე-5“ და „მე-6“ პუნქტები:

„5 უსკოს აპარატის თანამშრომელთა შესასრულებელი სამუშაოების ადმინისტრირების მიზნით, აპარატში შემავალი სამსახურის უფროსების მიერ, უსკოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით მზადდება შესასრულებელი, დეტალურად გაწერილი სამუშაოთა აღწერილობა (ინსტრუქცია), რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უსკოს თავმჯდომარე სამსახურის უფროსის წარდგინებით.

6. უსკოს ხელმძღვანელი პირების თანაშემწეებისა და უსკოს თავმჯდომარის რეფერენტის უფლებამოსილება განისაზღვრება უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით“.

7. მე-10 მუხლის „ნ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) შესაბამის მასალებს პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცემს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს“.

8. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“, „პ“ და „ჟ“ პუნქტები:

„ო) შესაბამის ინფორმაციას კომპიუტერული დამუშავებისათვის გადასცემს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს;

პ) უზრუნველყოფს უსკოს სტრუქტურულ ერთეულში საქმის წარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზაციას;

ჟ) ასრულებს სხვა მოვალეობებს“.

9. მე-11 მუხლის „ი“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ახდენს უსკოს შესაბამისი სამსახურების მიერ მომზადებული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების ვიზირებას“.

10. მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“, „ლ“, „მ“ და „ნ“ პუნქტები:

„კ) აწვდის ინფორმაციას უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე;

ლ) როგორც საარჩევნო ისე არასაარჩევნო პერიოდში აძლევს განმარტებებს და უწევს კონსულტაციას საოლქო საარჩევნო კომისიებს იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით;

მ) ახორციელებს უსკოს მიერ მიღებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ნ) ასრულებს სხვა მოვალეობებს“.

11. მე-12 მუხლის „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ეკონომიკურ სამსახურთან ერთად მონაწილეობს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო დაფინანსების დაგეგმვაში“.

12. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი სახის „ი“, „კ“ და „ლ“ პუნქტები:

„ი) იურიდიულ და სხვა სამსახურებთან ერთად მონაწილეობს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შედგენაში;

კ) აგროვებს და აწვდის უსკოს იურიდიულ სამსახურს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში შემოსულ საჩივრებისა და სასამართლო დავების შესახებ საჭირო ინფორმაციას;

ლ) ასრულებს სხავა მოვალეობებს“

13. მე-13 მუხლის „ო“ და „პ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ახორციელებს წლიური შესყიდვების გეგმის შედგენას მოსალოდნელი მოთხოვნილების გეგმის საფუძველზე, წლიური გეგმის შეჯერებას, დამტკიცებისა და კორექტირების უზრუნველყოფას;

პ) უსკოს ბუღალტრის ფუნქციებს ასრულებს საამისოდ დაქირავებული პირი, სხვა შემთხვევაში უსკოს ბუღალტრის ფუნქციებს ასრულებს ეკონომიკური სამსახურის უფროსი“.

14. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“, „რ“, „ს“, „ტ“, „უ“, „ფ“, „ქ“, და „ღ“ პუნქტები:

„ჟ) უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის ბიუჯეტის პროექტისა და საბიუჯეტო განაცხადის შედგენას;

რ) უზრუნველყოფს წლიურ საბიუჯეტო კანონზე დაყრდნობით მოსალოდნელი ხარჯების კვარტლური განწერის ორგანიზებას;

ს) უზრუნველყოფს წლიური და კვარტლური სტატისტიკური ანგარიშების შედგენას;

ტ) უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებასა და ანგარიშგებას, საარჩევნო კომისიის ბალანსის შედგენას;

უ) უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებს, შესყიდვებთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მონიტორინგს, შესყიდული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას;

ფ) უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვებზე ოპერატიული, კვარტლური და წლიური ანგარიშების შედგენასა და დადგენილი წესით წარდგენას;

ქ) უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის საქმიანობის უზრუნველმყოფი სათანადო მატერიალურ ტექნიკური პირობების ორგანიზებას, ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, ქონებისა და სამეურნეო ოპერაციების შეფასებას;

ღ) ასრულებს სხვა მოვალეობებს".

15. მე-14 მუხლის „თ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გეგმავს და ორგანიზებას უწევს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშვალებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს".

16. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი", „კ", „ლ", „მ" და „ნ" პუნქტები:

„ი) უზრუნველყოფს უსკოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და საზოგადოებისათვის მიწოდებას;

კ) აკეთებს პრესის ყოველდღიურ მიმოხილვას და წარუდგენს კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს;

ლ) წინასაარჩევნო პერიოდში გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს საარჩევნო საკითხებზე ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით;

მ) ახორციელებს ელექტრონულ მიმოწერას მედიასა და საზოგადოებასთან;

ნ) ასრულებს სხვა მოვალეობებს".

17. მე-15 მუხლის „ე" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ამზადებს უსკოს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა დანიშვნის, განთავისუფლების, შვებულების, აპარატის თანამშრომელთა წახალისების, საკადრო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

18. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ" და „ზ" პუნქტები:

"ვ) უზრუნველყოფს აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებას".

ზ) ასრულებს სხვა მოვალეობებს".

19. მე-16 მუხლის „მე-9" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9 კომისიის წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვს სიტყვით გამოვიდეს 2 წუთის განმავლობაში, იგივე საკითხთან დაკავშირებით მას უფლება აქვს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით დამატებით გამოვიდეს სიტყვით 2 წუთის განმავლობაში, სხდომაზე

კომისიის აპარატის თანამშრომლებს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს და სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ სიტყვით გამოვიდნენ კომისიის თავმჯდომარის თანხმობით თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული დროით, კომისიის წევრების შემდეგ".

20. მე-16 მუხლის „მე-12" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12 უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი ფორმდება სხდომის ჩატარებიდან მომდევნო დღის 18 საათამდე".

21. მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მე-8" პუნქტი:

„8 უსკოში შემოსული ნებისმიერი საარჩევნო დოკუმენტაცია საჯაროა გასაცნობად უსკოს წევრებისა და საჭიროებისამებრ უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის. აკრძალულია, უსკოში შემოსული და უსკოს მიერ მომზადებული ინფორმაციის გატანა უსკოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე (გარდა საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილი წესით გამოთხოვილი ინფორმაციისა)."

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ამ დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6, მე-17 და 20-ე პუნქტები ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედების დღიდან.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება
კომპიუტერული სასმსახურის შექმნის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების პერიოდში იქმნება კომპიუტერული უზრუნველყოფი დროებითი სამსახური, მან აღნიშნა, რომ კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა განპირობებულია იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნულმა სამსახურმა არჩევნების პერიოდში უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობა, მოახდინოს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიური განახლება, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და საჭირო შემთხვევაში მათ

მოდიფიცირებაც, სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. შეიქმნას კომპიუტერული უზრუველყოფის დროებითი სამსახური.

მუხლი 2. კომპიტერული უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის მუშაობის გამართულობას;

გ) ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს უსკოს აპარატში;

დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს;

ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;

ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიციფირებას;

ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;

თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;

ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;

კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;

ლ) მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული ამომრჩეველთა ერთიანი სიის ელექტრონული ვერსიის დამუშავებაში;

მ) მონაწილეობს საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად ამომრჩეველთა ერთიან სიებში შესატანი ცვლილებების გადამოწმებასა და მის დროულად დამუშავებას;

ნ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს;

ო) კონსულტაციას უწევს კომისიის წევრებს, აპარატის თანამშრომლებსა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს კომპიუერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამულ საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით;

პ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა პირადი ნომრებისა და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;

ჟ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის კანონით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, სამუშაო აღწერილობითა (ინსტრუქციით) და შინაგანაწესით, საქართველოს სხვა კანონებითა და სამართლებრივი აქტებით;

რ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიურ განახლებას;

ს) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სასაქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ამ დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედება განისაზღვროს სამი თვით.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა პრემიის განაწილების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ", საქრთველოს კანონით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი არ არის წესი რომელიც მოაწესრიგებს საბიუჯეტო კანონით ორგანიზაციისათვის გამოყოფილ პრემიების თანხების გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის

კომისიის წევრთა და თანამშრომელთა მუშაობის შეფასებას და მის შესაბამისად პრემიის გაცემის საკითხს. აღნიშნული საკითხი დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის მოწესრიგებული და ეს უფლებამოსილება ზოგადად ორგანიზაციის ხელმძღვანელის კომპეტენციას. არჩევნების პერიოდში თანამშრომელთა მიერ დაკისრებული მოვალეობათა ჯეროვნად შერულების, უქმე და დასვენების დღეებში მუშაობის, მიცემულ დავალებათა დროულად შეფასებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას პრემიის განაწილების კომისია და დამტკიცდეს კომისიის დებულება, რომლითაც განისაზღვრება საპრემიო კომისიის მუშაობის წესი, თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საპრემიო კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათის იქნება და იგი, ხელს შეუწყობს კომისიის თავმჯდომარეს აღნიშნული თანხების ობიექტურ განაწილებაში, ასევე აღნიშნა, რომ უსკოს თავმჯდომარეს შეეძლება დამოუკიდებლად განსაზღვროს და გადაწყვიტოს პრემიის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის საკითხი, რადგანაც კანონმდებლობის შესაბამისად უსკოს ფულად სახსრებს განკარგავს უსკოს თავმჯდომარე და შესაბამისად მის განკარგვაზეც პასუხისმგებელი პირი არის უსკოს თავმჯდომარე. ასევე მუხლობრივად განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია განკარგულება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა პრემიის განაწილების კომისიის შესახებ თანდართული დებულება.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია